საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 1 21 0000318812

02/04/2021

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სატრანსპორტო - ლოგისტიკური სისტემების ორგანიზაციის და მართვის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭებაზე უარის თქმის თაობაზე

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში აკრედიტაციის დებულების) 27^2 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და ამავე დებულების 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციაზე უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს საბჭო, თუ საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“,

1.3. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის თანახმად, აკრედიტაციაზე უარის თქმის შემთხვევაში:

ა) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება კარგავს შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის მიღების უფლებას;

ბ) ის სტუდენტი, რომელიც სწავლობდა სახელმწიფო დაფინანსებით, უფლებამოსილია გადავიდეს სხვა აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე და მისთვის გამოყოფილი სახელმწიფო დაფინანსების დარჩენილი ოდენობა გადაიტანოს ამ საგანმანათლებლო პროგრამაზე;

გ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება წყვეტს რეგულირებადი, მასწავლებლის მომზადებისა და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების, ასევე დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას. ამ შემთხვევაში სტუდენტებს 5 წლის განმავლობაში უჩერდებათ სტუდენტის სტატუსი და უფლებამოსილი არიან ისარგებლონ მობილობის უფლებით.

1.4 განათლების ხარისხის განვითარების შესახებ საქართველოს კანონის 22 - ე მუხლის 3^5 პუნქ ტის მიხედვითთუ აკრედიტაციაზე უარის თქმის ან აკრედიტაციის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება სასწავლო წლის განმავლობაში იქნება მიღებული, აკრედიტაციის საბჭო უფლებამოსილია, შესაბამისი საგანმანათლებლო დაწესებულების შუამდგომლობისა და მოსწავლეების/სტუდენტების კანონიერი ინტერესების გათვალისწინებით, სასწავლო პროცესის უწყვეტობის მიზნით, აკრედიტაციის დარჩენილი ვადის მიუხედავად, სათანადო გადაწყვეტილებით მოსწავლეებს/სტუდენტებს მიმდინარე სასწავლო წელი შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტებულ რეჟიმში დაასრულებინოს და აკრედიტაციის გაუქმების შესახებ ან ხელახალ აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად არაუგვიანეს მიმდინარე სასწავლო წლის დასრულების თარიღი მიუთითოს.

1.5. აკრედიტაციის დებულების 27^5 მე-7^1 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.[1]

1.6 აკრედიტაციის დებულების 27^5 მე-3^2 პუნქტის შესაბამისად, თუ აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ ან აკრედიტაციის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება სასწავლო წლის განმავლობაში იქნება მიღებული, აკრედიტაციის საბჭო უფლებამოსილია, შესაბამისი საგანმანათლებლო დაწესებულების შუამდგომლობისა და მოსწავლეების/სტუდენტების კანონიერი ინტერესების გათვალისწინებით, სასწავლო პროცესის უწყვეტობის მიზნით, აკრედიტაციის დარჩენილი ვადის მიუხედავად, სათანადო გადაწყვეტილებით მოსწავლეებს/სტუდენტებს მიმდინარე სასწავლო წელი შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტებულ რეჟიმში დაასრულებინოს და აკრედიტაციის გაუქმების შესახებ ან ხელახალ აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად არაუგვიანეს მიმდინარე სასწავლო წლის დასრულების თარიღი მიუთითოს.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. 2020 წლის 27 ივლისს სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტმა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარმოადგინა № 623521 სააკრედიტაციო განაცხადი "სატრანსპორტო - ლოგისტიკური სისტემების ორგანიზაციის და მართვის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე.

2.2. ცენტრის დირექტორის 2020 წლის 11 აგვისტოს № 681654 ბრძანების საფუძველზე, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2020 წლის 7 ოქტომბრის №959809 ბრძანებით შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც 2020 წლის 11 ნოემბერს განახორციელა დისტანციური ვიზიტი დაწესებულებაში, ხოლო 2021 წლის 23 თებერვალს წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა, რომლის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან			

სტანდარტები		მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა				√
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა				√
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		√		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		√		

2.3 საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია,

2.4.ზეპირი მოსმენა გაიმართა 2021 წლის 19 მარტს სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასებები.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის 3^5 პუნქტის, ამავე კანონის 24-ე მუხლის, ასევე, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5- ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის 3^2 და მე-5 პუნქტების, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული

ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ კენჭისყრის შედეგად, 16 ხმით არცერთი ხმის წინააღმდეგ,

გადაწყვიტა:

1. უარი ეთქვას სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერ სიტეტის ამ გადაწყვეტილების დანართი №1-ით გათვალისწინებულ "სატრანსპორტო - ლოგისტიკური სისტემების ორგანიზაციის და მართვის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაციის მინიჭებაზე.
2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შუამდგომლობისა და სტუდენტების კანონიერი ინტერესების გათვალისწინებით, სასწავლო პროცესის უწყვეტობის მიზნით, სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა მიმდინარე სასწავლო სემესტრი - 2021 წლის 19 მარტიდან 2021 წლის 15 აგვისტომდე დაასრულონ აკრედიტებულ რეჟიმში.
3. ცნობილ იქნას "სატრანსპორტო - ლოგისტიკური სისტემების ორგანიზაციის და მართვის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
4. ცნობილ იქნას საბჭოს 2021 წლის 2 აპრილის №318492 სხდომის ოქმის № 02 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
5. აკრედიტაციის საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რჩევები და რეკომენდაციები:

რეკომენდაციები:

5.1 საჭიროა პროგრამის მიზანი შესაბამისობაში მოვიდეს მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და შესაბამისად პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან;

5.2 საჭიროა პროგრამის სწავლის შედეგებში აღწერილი იქნას ის კომპეტენციებიც, რომელიც კურსდამთავრებულს გამოუმუშავდება აკადემიური საქმიანობისთვის;

5.3 საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ნაწილი საჭიროებს გადამუშავებას, ფორმულირებების დახვეწას და დოქტორანტურის საფეხურთან შესაბამისობაში მოყვანას;

5.4 სწავლის შედეგების შეფასების გეგმით სწავლის კონკრეტული შედეგის გაზომვისთვის მითითებულია არჩევითი სასწავლო კურსები, რაც არარეალისტურია, ვინაიდან ყველა შემთხვევაში მისი მიხედვით ვერ განხორციელდება სწავლის კონკრეტული შედეგის გაზომვა და დამოკიდებული იქნება სასწავლო კურსის არჩევაზე დოქტორანტის მიერ, შესაბამისად, საჭიროა დაიხვეწოს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა.

5.5 კურუკულუმსა და დოქტორანტურის დებულებაში პროგრამის მოცულობად მითითებულია 180 კრედიტი, რაც არ მოდის შესაბამისობაში უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის მოთხოვნასთან, საჭიროა იგი დაზუსტდეს და შესაბამისი ცვლილებები განახორციელოს დაწესებულების წარმომადგენლებმა როგორც საგანმანათლებლო პროგრამაში, ასევე დოქტორანტურის დებულებაში;

5.6 ECTS სისტემით სადოქტორო დონეზე კრედიტებში არ არის საჭირო გაზომილი იქნას კვლევითი კომპონენტი, რაც საჭიროა გაითვალისწინოს დაწესებულებამ;

5.7 მიზანშეწონილია პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა განხორციელდეს ძირითადი და არა არჩევითი სასწავლო კურსებით;

5.8 საჭიროა პროგრამაში ისეთი სასწავლო კურსების დამატება, რომლებიც მოიცავს ტრანსპორტის ყველა სახეობას, ასევე, დარგობრივი კვლევის მეთოდები დოქტორანტებისთვის შეთავაზებული უნდა იქნას ძირითადი სასწავლო კურსის სახით. მიზანშეწონილია გადაიხედოს პროგრამის კვლევის მიმართულებები და სასწავლო კურსები, მოხდეს მათი მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და სწავლების საფეხურთან შესაბამისობაში მოყვანა.

5.9 რიგ სასწავლო კურსებში საჭიროა სალექციო თემატიკა, სწავლის შედეგები და გამოყენებული ლიტერატურა სწავლების საფეხურთან მოვიდეს შესაბამისობაში;

5.10 გადაიხედოს კონკრეტული სილაბუსების სწავლის შედეგები, კერძოდ რამდენადაა შესაძლებელი აღნიშნული სასწავლო კურსით ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა - კომპეტენციის განვითარების შესაძლებლობა.
5.11 აუცილებელია დაზუსტდეს დოქტორანტმა დისერტაციის დაცვამდე საკვლევ თემასთან დაკავშირებით რამდენი სტატია უნდა გამოაქვეყნოს და რა ტიპის გამოცემებში (რეფერირებად თუ იმპაქტ-ფაქტორიან გამოცემებში).
5.12 საჭიროა გაფორმებული იქნას ხელშეკრულებები მოწვეულ პერსონალთან პროგრამის აკრედიტაციის ვადით, რათა უზრუნველყოფილი იქნას მათი გარანტირებული ჩართულობა პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო და კვლევითი კომპონენტების განხორციელებისთვის.
5.13 კვლევითი სამუშაოების შესრულების მიზნით, საჭიროა მოხდეს ხელშეკრულებების/მემორანდუმების გაფორმება ლოგისტიკის სფეროში მომუშავე ორგანიზაციებთან;
5.14 საგანმანათლებლო პროგრამის მიზანში, სწავლის შედეგებში და შინაარსში დაშვებული შეცდომები მიუთითებს იმაზე, რომ პროგრამების შემუშავებისა და განვითარების სტადიაზე აკადემიურ პერსონალს ესაჭიროებაოდათ დაინტერესებულ მხარეებთან, დარგში მომუშავე კოლეგებთან და ექსპერტებთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან მეტად კოორდინირებული მუშაობა, რათა თავიდან ყოფილიყო აცილებული დაფიქსირებული შეუსაბამობები და ასევე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრივაც საჭიროებს უფრო მეტ ჩართულობას პროგრამის შემუშავების სტადიაზე, რათა უზრუნველყოფილი იქნას მათი კანონმდებლობისა და მარეგულირებელი აქტების მოთხოვნათა განუხრელი დაცვით მომზადება.
5.16 საჭიროა ხარისხის უზრუნელყოფის სამსახურის წარმომადგენელთა მიერ მეტი ყურადღება მიექცეს პროგრამის განვითარების სტადიაზე რელევანტური ინფორმაციის გამოყენებას, რათა მათი ანალიზის შედეგები რეალურად ემსახურებოდეს პროგრამის გაუმჯობესებას.

რჩევები:
5.17 სასურველია დაწესებულებამ აპლიკანტის მიერ უცხოური ენის B2 დონეზე ფლობის დადასტურებისთვის დააზუსტოს თუ რომელ სერტიფიკატებს აღიარებს და ჩაანაცვლოს სიტყვა ,,სათანადო“;
5.18 შესაბამისობაში მოვიდეს ჩანაწერი კვლევის მიმართულებების შესახებ სასწავლო გეგმასა და პროგრამის კურიკულუმში და სასწავლო კურსების დასახელებები სასწავლო გეგმაში მითითებულ დასახელებებთან; სადოქტორო პროგრამის ძირითად ტექსტში გამოყენებულია ტერმინი ,,ლოგისტიკა“, ხოლო ზოგიერთ სასწავლო კურსში ტერმინი ,,ლოჯისტიკა“, მიზანშეწონილია მოხდეს პროგრამისა და სასწავლო კურსების ტერმინოლოგიური თანხვედრა;
5.19 სასურველია „კვლევის შედეგების პუბლიკაცია და კონფერენციებში მონაწილეობა“ გადატანილი იქნას მე-4, მე-5 და მე-6 სემესტრებში, რათა კოლოკვიუმებით მიღებული კვლევის შედეგების სრულფასოვნად გამოქვეყნება შეძლო დოქტორანტმა;
5.20 სასწავლო კურსის სილაბუსებში აღმოიფხვრას ტექნიკური ხასიათის შეცდომები და შეივსოს ინფორმაცია სრულყოფილად;
5.21 სასურველია, ვებ-გვერდზე განთავსებული იყოს პროფესორ-მასწავლებელთა მიმდინარე სასწავლო წლის კონსულტაციების განრიგი დეპარტამენტების მიხედვით;
5.22 მიზანშეწონილია პროგრამის სასწავლო კურსებში წარმოდგენილი ლიტერატურა სრულად ხელმისაწვდომი იყოს ციფრული სახით.

6. საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2021 წლის 15 აგვისტოს.

7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“

საქართველოს კანონის 24 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ. ალექსიძის II შესახვევი № 2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ